
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“



კორპორატიული ტანსაცმელის სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

2. ტექნიკური დოკუმენტაცია; 3

3. დანართი №1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება 5

4. დანართი №2 ფასების ცხრილი; 9

5. დანართი№3 რეკვიზიტები; 10

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1 . ტექნიკური დოკუმენტაცია:

1.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

ა) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, ხარისხობრივი პარამეტრები და რაოდენობა, მოცემულია **დანართი N1-ში**

1.2 ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

1.2.1 ანგარიშსწორების პირობები:

ა) მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით;

ბ)მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება (დღგ-ს გათვალისწინებით).

გ)ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებული საქონლის, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტის და დღგ-ს გადასახადის ანგარიშფაქტურის გაფორმების საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.;

დ) წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი არ გმოიყენება;

ე)ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ მოწოდებული საქონლის ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.

1.2.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ა) ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრუ- ლებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.3 %-ს.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ)საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

1.2.3 საქონლის მიწოდების ვადა ადგილი და ფორმა:

ა)მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ქ. ბათუმში გენერალ ასლან აბშიძის ქ. #14-ში , ხელშეკრულების გაფორმებიდან შემდეგ ვადებში:

ბ)ხელთათმანები, სამუხლეები და გაზაფხული-ზაფხულის უნიფორმა/კორპორატიული ტანსაცმელი მოგვაწოდოს 2016 წლის 1 მარტამდე;

გ)შემოდგომა-ზამთრის უნიფორმა/კორპორატიული ტანსაცმელი მოგვაწოდოს 2016 წლის 1 სექტემბრამდე.

1.2.4 მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო პირობები:

ა) მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, უპასუხებს ხელშეკრულებითა და ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;

ბ)მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა სწორი ექსპლუატაციის პირობებში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან შეადგენს 1 (ერთი) წელს.

გ)საგარანტიო ვადის განმავლობაში მომწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა (გარდა მექანიკური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული დაზიანებებისა)შემსყიდველი

ორგანიზაციის მოთხოვნიდან უმოკლეს ვადაში.
დ)მომწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე განახორციელოს წუნდებული ან დეფექტის მქონე საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

1.3. მოსაწოდებელი საქონლის ნიმუში.
ა) გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების შესაბამისი საქონლის ქსოვილები, ექსკიზები.

1.4 სატენდერო წინადადების ფასი:
ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილ უნდა იქნეს **დანართი №2-ის** შესაბამისად;
ბ) თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოდგება მრავალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მეასედებამდე. შესაბამისად, შეამციროს საერთო ფასიც.
გ) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

1.4. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:
1.4.1. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:
ა) ხელშეკრულების აუცილებელი პირობები 1,2 მუხლის გათვალისწინებით.
ა) ფასების ცხრილი **დანართი №2**-ის მიხედვით;
ბ) პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი **დანართი №3**-ის მიხედვით;

1.4.2. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5. საკონტაქტო ინფორმაცია:
სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრე-ტენდენტს შეუძლია ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარები“-ს სატენდერო კომისიის აპარატში, მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა №25; E-mail: mcvane.batumi@gmail.com საკონტაქტო პირი: ირაკლი ჯინჭარაძე; ტელეფონი: (8 422) 29 43 49; 577 16 52 16.

1.6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობა:

შესასყიდი კორპორატიული ტანსაცმელის

ხელთათმანი და სამუხლე				
№	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	ხელთათმანი	ლატექსით დაფარული ქსოვილი,ხუთთითიანი, მრავალჯერადი გამოყენების, გამოსაყენებლად მოსახერხებელი	წყვილი	4200
2	სამუხლე	ტყავში ჩასმული გამოხარშული ღრუბელით,უკანა მხარეს შესაკრავით	წყვილი	50
სულ				
გაზაფხული-ზაფხულის უნიფორმა/კორპორატიული ტანსაცმელი				
№	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	მამაკაცის მაისური	ქსოვილი 100% ბამბა,ფერი ღია მწვანე, გვირისტით, საყელო მრგვალგულით, მკლავი მოკლე,უკანა მხარეს წარწერა ,,მწვანე ბათუმი“ სიგანით არანაკლებ 25 სმ და სიმაღლით არანაკლებ 5სმ	ცალი	210

2	ქალის მაისური	ქსოვილი 100% ბამბა,ფერი ღია მწვანე, გვირისტით, საყელო მრგვალგულით, მკლავი მოკლე,უკანა მხარეს წარწერა ,,მწვანე ბათუმი“ სიგანით არანაკლებ 25 სმ და სიმაღლით არანაკლებ 5სმ	ცალი	30
3	მამაკაცის შარვალი	ქსოვილი 100% ბამბა, ფერი მუქი მწვანე,გვირისტით, ქსოვილის წონა 1 მ2 245 გრ,წინა მხარეს 2 ჯიბით,უკანა მხარეს 1 ზევიდან დაკერებული ჯიბით,მუხლს ქვევით 3 სმ სიმაღლის ფოსფორის ლენტით	ცალი	140
4	ქალის შარვალი	ქსოვილი 100% ბამბა, ფერი მუქი მწვანე,გვირისტით, ქსოვილის წონა 1 მ2 245 გრ,წინა მხარეს 2 ჯიბით,უკანა მხარეს 1 ზევიდან დაკერებული ჯიბით,მუხლს ქვევით 3 სმ სიმაღლის ფოსფორის ლენტით	ცალი	20
5	საზაფხულო კეპი	ქსოვილი 100% ბამბა, ფერი მუქი მწვანე, საჰაეროებით,გვირისტით,უკან ზომის დასაყენებელით,წინა მხარეს წარწერით ,,მწვანე ბათუმი“	ცალი	100
6	ქალის მოსასხამი	ქსოვილი 100% ბამბა, ფერი მუქი მწვანე, გვირისტით,ქსოვილის წონა 1 მ2 245 გრამი,წინა მხარეს 2 ჯიბე,უკანა მხარეს წარწერა ,,მწვანე ბათუმი“ სიგანით არანაკლებ 25 სმ და სიმაღლით არანაკლებ 5სმ,სილუეტი სწორი,ცენტრალური შესაკრავი 6 ღილზე, მუხლამდე სიგრძის	ცალი	11

7	მამაკაცის მოსასხამი	ქსოვილი 100% ბამბა, ფერი მუქი მწვანე, გვირისტით,ქსოვილის წონა 1 მ2 245 გრამი,წინა მხარეს 2 ჯიბე,უკანა მხარეს წარწერა ,,მწვანე ბათუმი“ სიგანით არანაკლებ 25 სმ და სიმაღლით არანაკლებ 5სმ,სილუეტი სწორი,ცენტრალური შესაკრავი 6 ღილზე, მუხლამდე სიგრძის	ცალი	70
	სულ			

შემოდგომა-ზამთრის უნიფორმა/კორპორატიული ტანსაცმელი				
№	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	მამაკაცის წყალგაუმტარი ქურთუკი	ქსოვილი 100% პოლიესტერი,სამშრიანი წყალგაუმტარი ქსოვილისაგან,ფერი შავი,წონა 1 მ2 160 გრ, სილუეტი სწორი, მოსახსნელი კაპიშონით, წინა მხარეს 2 ჯიბით, ცენტრალური შესაკრავი ელვით, სარქველით 4 კნოპზე, სარჩული 100% პოლიესტერი გამათბობელი სინტიფონით, უკანა მხარეს წარწერით ,,მწვანე ბათუმი“	ცალი	50
2	ნაქსოვი ქუდი	ქსოვილი 100% პოლიესტერი,ფერი შავი	ცალი	100
3	ქალის რეზინის ჩექმა (ვალინკი)	ყელის სიმაღლე არანაკლებ 30სმ,ფერი შეთანხმებით,მაღალი ხარისხის სქელი რეზინით	წყვილი	15
4	ქალის სატუცავი (კალოში)	ფერი შავი,დათბილული,მაღალი ხარისხის სქელი რეზინით,ყელიანი	წყვილი	10

5	მამაკაცის რეზინის ჩექმა (ვალინკი)	ყელის სიმაღლე არანაკლებ 40 სმ,ფერი შეთანხმებით,მაღალი ხარისხის სქელი რეზინით	წყვილი	100
6	საწვიმარი ლაბადა	პოლიესტერი პვხ წყალგაუმტარი, ნაკერები წყალგაუმტარი ზონარით, ცენტრალური შესაკრავი დაფარული ელვით, ზემოდან ხუთი ღილაკით, წინა კალთებზე ზედნადები ჯიბეთი დაფარული სარქველით, წინა და უკანა მხარეს შუქამრეკლი ორი ზოლით, საყელო კაპიშონით მოსაჭიმი ზონარით,უკანა მხარეს წარწერით ,,მწვანე ბათუმი“, ფერი მუქი მწვანე	ცალი	40

შენიშვნა:

- გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ზომების აღებას განახორციელებს ინდივიდუალურად, რის შესაბამისადაც უნდა წარმოადგინოს პროდუქცია;

დანართი№2

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

№	შესყიდვის დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეული ფასი	მთლიანი ღირებულება	მიწოდების ადგილი და ვადა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
სულ:							

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

დანართი №3

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფომა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენთიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი: